ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის

აუდიტორული ანგარიში

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

მაისი 2021 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....3

ა. ზოგადი ნაწილი.....3

ბ. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....3

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები.....4

3. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.....4

4. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, ფულადი ანგარიშების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.....6

5. ძირითადი რისკები.....8

6. რეკომენდაციები.....8

პასუხისმგებელი პირები.....10

ხელმოწერები.....10

1. შესავალი

ა. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2021 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი".

შიდა აუდიტის სახე: ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

შიდა აუდიტის ამოცანა: ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" ფულადი სახსრების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება. ცენტრის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, საკანცელარიო საქმისწარმოების, სამივლინებო ხარჯების, ხელშეკრულებების, საკადრო საქმიანობის კანონთან შესაბამისობის შემოწმება-შესწავლა.

იურიდიული პირის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა კონტროლის სისტემის სწორად განხორციელებაზე, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას, განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან და სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა აუდიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე. ანგარიშში ძირითადად ასახულია ის შენიშვნები, ხარვეზები და რისკები, რომლებიც გამოიკვეთა ობიექტის შემოწმებისას.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის მანანა გელხვიიძის მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა" და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების შესაბამისად, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრში" ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება. შემოწმებას ესწრებოდნენ და განმარტებებს იძლეოდნენ: ცენტრის დირექტორი [redacted] [redacted] და ბუღალტერი [redacted]. წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ბ. შესამოწმებელ პერიოდში ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

ცენტრი შეიქმნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 04.04.2018 წ. №49 580 ბრძანების საფუძველზე 5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის: „ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის", „რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის", „ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის", „კულტურის

ცენტრის“, „ხალხური შემოქმედების სახლის“ რეორგანიზაციის (ერთმანეთთან შერწყმის) შედეგად.

ობიექტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შტამპი, ბეჭედი, საბანკო ანგარიში და სხვა რეკვიზიტები. ის შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. მას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი. ცენტრის საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს შეიმუშავებს დირექტორი და შესათანხმებლად და დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია კულტურისა და ხელოვნების სექტორები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა სფეროს მიმართულებებად: ბიბლიოთეკა, მუზეუმი, თეატრები, ფოლკლორული ჯგუფები, ვოკალური, ხალხური სიმღერების და ქორეოგრაფიული ანსამბლები. წესდებით, სფეროების მიხედვითაა განსაზღვრული ცენტრის მიზნები.

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს“ საკანცელარიო დოკუმენტების წარმოებაში აქვს შემდეგი სახის ხარვეზები:

- 2019-2020 წლების ბრძანების წიგნები არაა დალუქული ორგანიზაციის ბეჭდით;
- გადასწორებულია შემდეგი ბრძანებები: 2019 წელი - N23, N24, N35, N40, N102, N228, N452, 2020 წელი - N8, N22, N23, N32, N51, N61;
- ბრძანება N29 ისეა გამოცემული, რომ მას არ აქვს მითითებული გამოცემის თარიღი;
- არაა გამოცემული ბრძანებები შვებულებიდან დაბრუნების შესახებ და აღნიშნულს სისტემატური ხასიათი აქვს საანგარიშო პერიოდში;
- 05.02.19 წლის N24 და 05.02.19 წლის N25 ბრძანებები გამოცემულია დაგვიანებით, ორივე მათგანი გამოცემულია თანამშრომელთა ფაქტობრივად 4 თებერვალს მივლინების შემდეგ.

თანამშრომელ [redacted] წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესახებ, თუმცა ამ თანამშრომელზე საშემოსავლო გადასახადის დაკავებისას შეღავათი არ გატარებულა.

3. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2019 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 140702 ლარის შესყიდვა, 2020 წლის შესყიდვების გეგმით - 127120 ლარის შესყიდვა.

ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების დადასტურება არ ხდება მიღება-ჩაბარების აქტის მეშვეობით და შესაბამისად არც ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული, ატვირთულია მხოლოდ სასაქონლო ზედნადებები, რომლებიც მხარეთა მიერ ხელმოწერების გარეშეა, მაგალითად: 2019 წლის 11 თებერვლის N13 ხელშეკრულება, 26 თებერვლის N25 და N26 ხელშეკრულებები, 28 თებერვლის N27 ხელშეკრულება.

რიგ შემთხვევებში სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესრულებისას არ არის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი და სამუშაოები ისეა შესრულებული. არ არსებობს აგრეთვე, დეფექტური და სამუშაოს შესრულების აქტები, მაგალითად: 2019 წლის 01 თებერვლის N8 ხელშეკრულება.

ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია ხელშეკრულება N38 (ატვირთულია 2020 წლის 21 აგვისტოს), აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, შესყიდულია ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურება ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში განსახორციელებელი რემონტისთვის, შესყიდვის ობიექტს არასწორად აქვს მინიჭებული კლასიფიკატორის კოდი CPV - 92300000 - გასართობი მომსახურებები; 92312213 - ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, აღნიშნული მოსახურებისთვის მინიჭებული უნდა იყოს შემდეგი კლასიფიკატორის კოდი: CPV – 71300000 - საინჟინრო მომსახურებები; CPV - 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

2019 წელს ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" მიერ შესყიდულია საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, იმის მიუხედავად, რომ წინა წლის პრაქტიკიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში აღნიშნული მომსახურების შესყიდვის საერთო ღირებულება გადააჭარბებდა 5000 ლარს. სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის თავიდან არიდებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით, საბიუჯეტო წლის დასაწყისშივე უნდა გამოცხადებულიყო ელექტრონული ტენდერი აღნიშნული მომსახურების შესასყიდად. ორგანიზაციამ საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოაცხადა 2019 წლის 21 მაისს (NAT190010003), გამარჯვებულ პრეტენდენტს ხელშეკრულება გაუფორმდა 2019 წლის 06 ივნისს (ღირებულებით 8955 ლარი).

ასევე, ხარვეზებია 2019 წელს შესყიდული სასტუმროს მომსახურების შემთხვევაშიც. ორგანიზაციის მიერ 2019 წლის განმავლობაში შესყიდულია 5473 ლარის სასტუმროს მომსახურება სხვადასხვა მიზნებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მაშინ როდესაც აღნიშნული მომსახურების შესყიდვის ჯამური რაოდენობა გადასცდა 5000 ლარს, ორგანიზაციას არ გამოუცხადებია ტენდერი მის შესასყიდად, რაც ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს და წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის სავარაუდო შემთხვევას.

2019 წლის 13 მარტს გაფორმებულია 500 ლარის ღირებულების ხელშეკრულება ინდ. მეწარმე „კახაბერ ბოგვერაძესთან", ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ტელევიზორის საკიდის ჭერზე დამონტაჟების მიზნით (მასალის ჩათვლით). მსგავსი ტიპის ტელევიზორის

ჭერზე საკიდი მექანიზმები ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით არ აღემატება 150 ლარს (ფასები მერყეობს 35 ლარიდან - 150 ლარამდე), აქედან გამომდინარე გაუგებარია, რატომ გადაიხადა ორგანიზაციამ 350 ლარი მექანიზმის მონტაჟში, როდესაც მსგავსი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ინსტრუმენტები შესყიდულია ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს. აუცილებელია ყოველი შესყიდვისას მოხდეს ბაზრის შესაბამისად შესწავლა (ბაზრის კვლევა) და ხელშეკრულება გაფორმდეს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის პრინციპების დაცვით.

ორგანიზაცია ყიდულობს საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებებს ბიბლიოთეკის სასოფლო განყოფილებებში გეგმიური შემოწმებისათვის, მაგალითად 2019 წლის 17 აპრილს გაფორმებულია N45 ხელშეკრულება (ღირებულებით 320 ლარი), მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით განხორციელდა შემოწმება ზვარეში, მოლითში, ღორეშასა და ხევში, შესაბამისად 18, 19, 22 და 23 აპრილს. თითოეულ სვლა-გეზში გადახდილია 80 ლარი, გაუგებარია რატომ არ ხდება გეგმური შემოწმებების დაგეგმვა ისე, რომ ერთ ზონაში მყოფი სასოფლო განყოფილებების შემოწმება მოხდეს ერთ დღეს და ერთი სვლა-გეზის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს (მაგალითად ერთი სვლა-გეზის ფარგლებში მოლითისა და ზვარის განყოფილების შემოწმება და ასევე, ერთი-სვლა გეზის ფარგლებში ღორეშისა და ხევის განყოფილებების შემოწმება). მსგავს პრაქტიკას აქვს სისტემატური ხასიათი.

4. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ქონების აღრიცხვის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, ფულადი ანგარიშების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან სუბსიდიის სახით 2019 წელს ჩაერიცხა 678187 ლარი, 2020 წელს - 627197 ლარი.

უზუსტობებია მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ დოკუმენტებში: 14.09.2020 და 01.10.2020 თარიღებში მუნიციპალიტეტის მერისათვის დასამტკიცებულად წარდგენილია საშტატო განრიგები, რომელთა თვის ხელფასის ჯამი არაა სწორად მითითებული, ფაქტობრივად ასახულია 47235 ლარი 47835 ლარის ნაცვლად და 47235 ლარი 47835 ლარის ნაცვლად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ 2019 წლის წლიურ ანგარიშში ასახულია, რომ გაიცა დანამატი 3275 ლარს ოდენობით, ხოლო შიდა აუდიტის სამსახურისათვის წარმოდგენილი მასალების მიხედვით გაცემული დანამატის თანხა შეადგენს 1810 ლარს. ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 19185 ლარი წლიური ანგარიშის მიხედვით, ხოლო აუდიტის მიერ მოთხოვნილ მასალებში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება შეადგენს 18750 ლარს.

2020 წლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ წლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ გაცემულია დანამატი 820 ლარი, ხოლო შიდა აუდიტისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით დანამატის სახით გაცემულია 1720 ლარი.

გაწეული ხარჯები წლების მიხედვით და პროცენტული თანაფარდობა მთლიან ხარჯთან მიმართებაში მოცემულია ცხრილ №1-ში.

ა(ა)იპ "კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"
გაწეული ხარჯების შესახებ
ცხრილი №1

№	მუხლი	2019		2020	
		თანხა	%	თანხა	%
1	თანამდებობრივი სარგო	554901	82.88	555506	90.56
2	პრემია	3900	0.58	-	-
3	დანამატი	3275	0.49	820	0.13
4	შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება	19185	2.86	5228	0.85
5	მივლინება	2939	0.44	580	0.09
6	საკანცელარიო მასალები	1466	0.22	829	0.14
7	ჟურნალ-გაზეთების შეძენა	1798	0.27	1241	0.20
8	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯები	1770	0.26	2193	0.36
9	საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება	5355	0.80	7528	1.23
10	ოფისისათვის სანიტარული საგნების შეძენა			1349	0.22
11	სანიტ. და ჰიგიენ. მასალების შეძენა	752	0.11	473	0.08
12	შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი	9560	1.43	700	0.11
13	კავშირგაბმულობის ხარჯები	9032	1.35	7320	1.19
14	კომუნალური მომსახურების ხარჯი	10566	1.58	7737	1.26
15	კულტ. სპორტ. საგანმანათ. ღონისძ. და მაუწყ. ხარჯები	-	-	3000	0.49
16	აუდიტორული მომსახურების ხარჯები	-	-	800	0.13
17	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმნის ხარჯები	-	-	700	0.11
18	წარმომადგენლობითი ხარჯი	2058	0.31	250	0.04
19	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	15115	2.26	6665	1.09
20	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	27854	4.16	10538	1.72

2019 წლის მონაცემებით ცენტრს გადახარჯვა აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შრომის ანაზღაურების მუხლში 1465 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების

მუხლში 5680 ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების მუხლში 783 ლარი, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლში 1205 ლარი და სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული - 500 ლარი.

2020 წლის მონაცემებით დანამატის გაცემა გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა ფაქტობრივად კი გაცემულია 1720 ლარი.

გადახარჯვები დაკომპენსირებულია საკუთარი შემოსავლების ხარჯზე.

ცენტრის არაფინანსური აქტივები გაიზარდა 2019 წელს - 8617 ლარით და 2020 წელს - 10271 ლარით.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით, შემოსავალი და ხარჯები - ხაზინის მეშვეობით. შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. ანგარიშგება ნაწარმოებია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.

5. ძირითადი რისკები.

ობიექტის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

6. რეკომენდაციები.

1. უშეცდომოდ უნდა მოხდეს ბრძანებების წიგნების წარმოება, კალენდარული წლის დადგომისთანავე უნდა დაილუქოს ორგანიზაციის ბეჭდით;

2. ყოველ გამოცემულ ბრძანებას უნდა ჰქონდეს თარიღი, ხელმოწერა და ორგანიზაციის ბეჭედი;

3. ბრძანება უნდა გამოიცეს, როგორც თანამშრომლის შვებულებით სარგებლობის, ასევე შვებულებიდან დაბრუნების შესახებ;

4. მივლინების შესახებ ბრძანება უნდა გამოიცეს პირის მივლინებაში ფაქტობრივად წასვლამდე;

5. უნდა აღმოიფხვრას საბუღალტრო ანგარიშსწორებაში არსებული ხარვეზები, კერძოდ, სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით გადახარჯვის პრაქტიკა;

6. დასაქმებული, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ექვემდებარება განსხვავებული წესით დაბეგვრას, უნდა დაიბეგროს შესაბამისად და მასზე გატარდეს საგადასახადო შეღავათები;

7. სხვადასხვა სამუშაოების (მათ შორის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების) შესრულებამდე უნდა შედგეს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები, განხორციელების შემდგომ კი შესრულებული სამუშაოს აქტი და მიღება-ჩაბარების აქტში კონკრეტულად მიეთითოს რა გაკეთდა მომსახურების გაწევის შედეგად;

8. ხელშეკრულების პირობების შესრულების დადასტურება ხდება მიღება-ჩაბარების აქტით ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტით, რომლის მიხედვითაც ნათელია ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია და ხელმოწერილია მხარეთა მიერ, აუცილებელია მსგავსი დოკუმენტის შედგენა ყველა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას და მისი ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

9. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამდე უნდა ჩატარდეს შესაბამისი ბაზრის კვლევა, რათა თავიდან იქნას აცილებული საბიუჯეტო სასხრების არაეკონომიურად ხარჯვა;

10. საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და ეფექტურად ხარჯვის მიზნით, სასოფლო საბიბლიოთეკო განყოფილებების გეგმური შემოწმებების დაგეგმვა მოხდეს ისე, რომ ერთ ზონაში მყოფი განყოფილებების შემოწმება მოხდეს ერთ დღეს და ერთი სვლა-გეზის ფარგლებში;

11. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ იქნას უგულებელყოფილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა აღნიშნული კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრების შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებისა და ვადების გამოყენებისათვის და სხვა მოთხოვნების შესრულებისათვის თავის არიდების მიზნით.

შიდა აუდიტის პერიოდში ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრში“ განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან: გაერთიანების დირექტორი

- [redacted], მიმართულების ხელმძღვანელი ხელოვნების დარგში - [redacted], მიმართულების ხელმძღვანელი კულტურის დარგში - [redacted] საბიბლიოთეკო განყოფილების ხელმძღვანელი - [redacted], მთავარი ბუღალტერი - [redacted], ბუღალტერი - [redacted]

შიდა აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ: [redacted] - დირექტორი, [redacted] - მთავარი ბუღალტერი;

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის
პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: [redacted] [redacted]